



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება №73

2014 წლის 3 ოქტომბერი

#### ქ. დუშეთი

დუშეთის თემში შემავალი, სტატისტიკურ მონაცემებში გამორჩენილი სოფლების და სოფლის სტატუსის გარეშე არსებული დასახლებების ( ყოფილი კოლექტიური მებაღეობის დასახლებების გარდა) დადგენის მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,ამავე კანონის „ბ“ პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის და დუშეთის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის საფუძველზე, საკრებულომ

#### გადაწყვიტა:

1. დუშეთის თემში შემავალი, სტატისტიკურ მონაცემებში გამორჩენილი სოფლების და სოფლის სტატუსის გარეშე არსებული დასახლებების (ყოფილი კოლექტიური მებაღეობის დასახლებების გარდა) დადგენის მიზნით, შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდეს მისი დებულება ( დანართი №1).
2. დამტკიცდეს დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა ( დანართი №2)
3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს ორი თვით.
4. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

დუშეთის თემში შემავალი, სტატისტიკურ მონაცემებში გამორჩენილი სოფლების და სოფლის სტატუსის გარეშე არსებული დასახლებების (ყოფილი კოლექტიური მეზაღობის დასახლებების გარდა) დადგენის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24 -ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის საფუძველზე, შექმნილია დუშეთის თემში შემავალი , სტატისტიკურ მონაცემებში გამორჩენილი სოფლების და სოფლის სტატუსის გარეშე არსებული დასახლებების ( ყოფილი კოლექტიური მეზაღობის დასახლებების გარდა) დამდგენი დროებითი სამუშაო ჯგუფი ( შემდგომში სამუშაო ჯგუფი).

2. სამუშაო ჯგუფი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს ამ დებულებით, საკრებულოს რეგლამენტით და მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით.

### მუხლი 2. სამუშაო ჯგუფის სტრუქტურა.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება 7 წევრით.

2. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს და წევრებს თავის შემადგენლობიდან, სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საკრებულო.

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მიერ, საკრებულოს კომისიებისათვის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით, ჯგუფში სამუშაოდ, დროებით ან ჯგუფის უფლებამოსილების ვადით შეიძლება მოწვეული იქნენ სპეციალისტები, ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე.

4. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტით და ამ დებულებით დადგენილ წესების დაცვას.

5. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე.

### **მუხლი 3. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის განხორციელების პრინციპები.**

სამუშაო ჯგუფის საქმიანობის განხორციელების პრინციპებია:

1. ობიექტურობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა, საჯაროობა, კოლეგიურობა და კორექტურობა.
2. სამუშაო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ჯგუფის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ საკრებულოს წევრები, მოწვეული პირები.
3. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით. დამსწრე ჯგუფის წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტა სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. სამუშაო ჯგუფის სხდომა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ჯგუფის წევრთა სიით შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია იყოს დახურულიც.
5. სამუშაო ჯგუფის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. განსხვავებული აზრი დაერთვება ოქმს.

### **მუხლი 4. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებები.**

1. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებას განეკუთვნება დუშეთის თემში შემავალი იმ სოფლების და სოფლის სტატუსის არმქონე დასახლებების (კოლექტიური მებაღეობის დასახლებების გარდა) გამოვლენა, აღრიცხვა და მათ ირგვლივ ყველა საჭირო გარემოების დადგენა, რომლებიც სტატისტიკურ მონაცემებში არ ფიქსირდებიან ან გაიგივებულნი არიან ცალკე დამოუკიდებელ სოფლებთან, რომლებსაც მათთან არავითარი კავშირი არ აქვთ.
2. სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის შედეგებზე შესაბამისი დასკვნის მომზადება და გადაცემა საკრებულოსათვის შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისათვის.

### **მუხლი 5. სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებში ცვლილების და დამატების შეტანა.**

სამუშაო ჯგუფის უფლება-მოვალეობებში ცვლილებების და დამატების შეტანა შესაძლებელია საკრებულოს გადაწყვეტილებით.

დამტკიცებულია დუშეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის სექტემბრის სხდომის № განკარგულებით

დანართი №2

დუშეთის თემში შემავალი, სტატისტიკურ მონაცემებში გამორჩენილი სოფლების და სოფლის სტატუსის გარეშე არსებული დასახლების (კოლექტიური მებაღეობის დასახლებების გარდა) დამდგენი დროებითი სამუშაო ჯგუფი.

1. ვაჟა ჭინჭარაული - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, დროებით სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
2. სალომე კაკაბლიშვილი - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი.
3. ნუკრი უნდილაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
4. ემზარ მამულაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
5. ტარიელ ჩხუტიაშვილი - საკრებულოს წევრი, ჯგუფის წევრი.
6. მერი ფოლოდაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „თანადგომის“ თავმჯდომარე ჯგუფის წევრი.
7. თამაზ ბექაური - საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.